ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#9

27 აგვისტო 2024 წელი

ქ.ბაღდათი 10.30 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: მურად ბურჯანაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამ ჩხეიძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
გვანცა გრძელიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - საბიუჯეტო განყოფილება - განყოფილების უფროსი: ვაჟა ჩაფიჩაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ მელაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: ლაზარე კვირიკაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში: რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“.

მომხს. ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“. აღნიშნულ სკიათხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ მელაძემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება ბიუჯეტი მუხლობრივად უფრო მეტად ჩავშალოთ

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“. მიიღოს კომისიამ და საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“. მიიღო კომისიამ და საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

შენიშვნები:

1. შეუსრულებელია II კვარტლის პროგნოზით გათვალისწინებული გრანტები. 6489,3 ათ ლარის ნაცვლად მიღებულია 6185,9 ათ ლარი. ანუ გეგმა შესრულებულია 95,3 % ით. ამასთან შესრულებაშია აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული 262,1 ათ. ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებული იყო მისაღებად 9,0 ათ ლარი და მოხდა შესრულების მაჩვენებლის გაზრდა. ამასთან მიუღებელია სპეციალური ტრანსფერი 650,0 ათ ლარი. ხოლო მიზნობრივი ტრანსფერი 98,4 ათ ლარის ნაცვლად მიღებულია 348,9 ათ ლარი.

ყოველივე აღნიშნული საბიუჯეტო პროცესის არასწორი მართვისა და პროგნოზირების შედეგია.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძე